



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 81

„29“ ნოემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ეკა კალაძის, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 აპრილის N52 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დებულების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ეკა კალაძე.
2. ეკა კალაძის არყოფნის შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელს, ქეთევან ბუბუტეიშვილს.
3. დაევალოს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისა და უფლებამოსილი სამსახურებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
4. წინამდებარე ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).
5. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ცენტრის უფროსი

რატი ბრეგაძე

